ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5365169

ნომერი: AR1817022

თარიღი : 12.04.2021

გაცემის თარიღი : 14.04.2021

გაცნობის თარიღი : 14.04.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, კოტე აფხაზის ქუჩა, N 33;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გოგიაშვილი პ/ნ 01013024281
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ვარკეთილი-3-ის დასახლება, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი 425, ბინა 71

ნომენკლატურა :

- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
- II კლასი
- ახალი მშენებლობა
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: აივანი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი გოგიაშვილი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული 2021 წლის 12 აპრილის AR1817022 განაცხადება, რომელიც ეხება ქ თბილისში, კოტე აფხაზის ქ.N33-ში არსებული შენობის რეკონსტრუქციის პროექტის შეთანხმების საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის N3/181 ბრძანების თანახმად, ქ. თბილისში, ლესელიძის (დღევანდელი კოტე აფხაზის ქუჩა) ქ. N33-ში არსებულ შენობას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი და „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოადგენს სარეაბილიტაციო სამუშაოებს. აქედან გამომდინარე, განაცხადი უნდა დარეგისტრირდეს შესაბამის ნომენკლატურაში: ელექტრონული განაცხადები>მშენებლობის ნებართვა>კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი>სარეაბილიტაციო სამუშაოები და წარმოადგინოთ სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია შესრულებული „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნომენკლატურით სამსახური მოკლებულია საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობას. სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამის ნომენკლატურაში ატვირთვის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.